სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 16

2014 წლის 12 თებერვალი

ქ. თბილისი

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების თაობაზე

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 ნოემბრის N181/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", „ე[1]" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის 10 თებერვლის №02 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში 2014 წლის ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსი „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა".

2. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო -ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" 2014 წლის კონკურსის" პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში 2014 წლის ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" პროექტის „განაცხადის კრებსითი ნაწილის" ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში 2014 წლის ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" პროექტის „ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის" ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

5. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში 2014 წლის ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად.

6. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" 2014 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტისა და საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად.

7. დაევალოს ფონდის კონსულტანტს მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში (დ. გუგავა) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

8. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური

დანართი №1
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 12 თებერვლის №16 ბრძანებით

აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" 2014 წლის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF -Global), საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში აცხადებენ ერთობლივ კონკურსს (შემდგომში – კონკურსი) „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა".

2. კონკურსის მიზანია: ხელი შეუწყოს მაღალი დონის, ინოვაციური ხასიათის ბიოლოგიურ კვლევას, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს თავდაცვისა და საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (DTRA) და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების საერთო ინტერესის სფეროს.

3. კონკურსზე წარდგენილი პროექტი არ უნდა უკავშირდებოდეს თავდაცვისა და სამხედო თემატიკაზე ორიენტირებულ კვლევას და უნდა განხორციელდეს სამოქალაქო, კვლევით გარემოში. პროექტში გამოყენებული აღჭურვილობა ორიენტირებული უნდა იყოს სამოქალაქო მიზნებზე.

4. კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩევა, არაუმეტეს 2 წლის ხანგრძლივობის, ერთი პროექტი.

5. პროექტმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შექმნა.

6. ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

ა) თანამედროვე სტანდარტების კვლევების ჩატარება და კვლევისა და განათლების სისტემის ჰარმონიზაციაზე და მათი დონის ამაღლებაზე მიმართული ახალი პროგრამებისა და მიდგომების შემუშავება;

ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევისა და სწავლების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კვლევითი ბაზის შექმნა (CRDF Global-ის რეკომენდაციით, გრანტის დაახლოებით 50% გამოყენებული უნდა იყოს აპარატურისათვის და შესაბამისი კვლევების ჩატარებისთვის);

გ) ნიჭიერ სტუდენტთათვის, ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისათვის და ახალგაზრდა პერსპექტიულ მეცნიერთათვის კვლევებისთვის საჭირო ახალი შესაძლებლობების შექმნა და მათზე სტიპენდიების სახით გრანტის არანაკლებ 10 %-ის გამოყოფა;

დ) საქართველოში სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, უცხოურ

უნივერსიტეტებთან, კომპანიებთან და კვლევით ინსტიტუტებთან მეცნიერებისა და განათლების სფეროში კავშირების დამყარებაში ხელშეწყობა.

7. სამეცნიერო თემატიკა მოიცავს ბიოსამედიცინო პროფილის კვლევებს, რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან და DTRA-ს ერთობლივი ბიოლოგიური ჩართულობის პროგრამის (CBEP) მიზნებთან და კვლევით პრიორიტეტებთან (იხ. ბმული: www.grdf.ge).

8. პროექტში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ცენტრის საგანმანათლებლო ამოცანები.

9. ცენტრი მოწოდებულია, უზრუნველყოს პარტნიორი ორგანიზაციებისა და საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროექტის ფარგლებში შეძენილ აპარატურაზე ხელმისაწვდომობა.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს ადმინისტრირებას ერთობლივად უწევენ ფონდი, CRDF Global-ი და სსგფ.

2. პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი და CRDF Global-ი (შემდგომში - დამფინანსებელი მხარეები).

3. ფონდი:

ა) უზრუნველყოფს CRDF Global-სა და სსგფ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) უზრუნველყოფს CRDF Global-სა და სსგფ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამართვის წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეარჩევს ადგილობრივ დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც CRDF Global-ის ექსპერტებთან ერთად შეაფასებენ პროექტს და იმუშავებენ კომისიის (პანელის) შემადგენლობაში. კომისია (პანელი) თავად განსაზღვრავს მუშაობის წესს, რომლის მიხედვითაც და ამ დანართის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად გამოავლენს ოთხ საუკეთესო ფინალისტ პროექტს;

დ) შეარჩევს ადგილობრივ დამოუკიდებელ დარგობრივ ექსპერტებს, რომლებიც CRDF Global-ის ექსპერტებთან ერთად შექმნიან ერთობლივ სამუშაო ჯგუფს, რომელშიც შესაძლოა შედიოდნენ ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ექსპერტები. ერთობლივი სამუშაო ჯგუფი ეწვევა კონკურსის ფინალში გასული ოთხი პროექტის წარმდგენ საბაზო ორგანიზაციებს (საჭიროების შემთხვევაში ასევე თანამონაწილე ორგანიზაციებს), ადგილზე მდგომარეობის შესაფასებლად და დამფინანსებელიმხარეებისთვის საუკეთესო პროექტის შესახებ რეკომენდაციის შესამუშავებლად;

ე) ერთობლივი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციისა და კომისიის დასკვნების გათვალისწინებით ამტკიცებს დასაფინანსებელ პროექტს (ფონდის სამეცნიერო საბჭო);

ვ) უზრუნველყოფს CRDF Global-თან და სსგფ-სთან ერთად გამარჯვებული პროექტის დაფინანსებასა და მისი შესრულების მონიტორინგს.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინსტრაციულ-სამართლებრივი აქტით ნიშნავს წარმომადგენელს, რომელიც დააკვირდება ზემოაღნიშნულ პროცესებს.

მუხლი 3. სუბიექტები

1.კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტსწარადგენს საბაზო ორგანიზაცია თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აპლიკანტებთან

ერთად. საბაზო ორგანიზაცია შესაძლოა იყოს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2. პროექტში დაგეგმილი კვლევა სრულდება საბაზო ორგანიზაციაში. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის გარკვეული ნაწილი შეიძლება შესრულდეს თანამონაწილე ორგანიზაციაში/ორგანიზაციებში.

3. პროექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას.

4. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - პასუხისმგებელია როგორც პროექტის შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე და პროექტის განხორციელების პერიოდში ცხოვრობს და მუშაობს საქართველოში. ამასთან, იგი არ შეიძლება იყოს CRDF –Global-ის მიერ დაფინანსებული ერთზე მეტი მიმდინარე პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

5. ცენტრი მართული უნდა იყოს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, რომელიც არ შეძლება იყოს საბაზო ან თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

6. საბაზო ორგანიზაციას შეუძლია კონკურსზე არაუმეტეს ორი პროექტის წარდგენა. ამასთან ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლება იყოს კონკურსზე წარდგენილი ერთზე მეტი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

7. პროექტის დამთავრების შემდეგ საბაზო ორგანიზაცია უზრუნველყოფს ცენტრის ფარგლებში პროფილური სამეცნიერო კვლევების გაგრძელებას პროექტის შემსრულებელთა მონაწილეობით. ამ მიზნით პროექტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საბაზო ორგანიზაციის მიერ პროექტის დასრულების შემდეგ ცენტრის ფუნქციონირებისათვის გასაწევი ხარჯების და ამ ხარჯების დაფარვის სავარაუდო გეგმის შესახებ.

მუხლი 4. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს.

2. პროექტზე ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 60 000 დოლარის ეკვივალენტ ლარს.

3. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების გარდა პროექტი ფინანსდება CRDF Global-ის მიერ 400 000 აშშ დოლარის ფარგლებში.

4. ფონდის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. პირველი ტრანშის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 დოლარის ეკვივალენტ ლარს. საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ გახსნილ საგრანტო ანგარიშებზე. ტრანშების მოცულობა იგეგმება შესაბამის პერიოდში/ეტაპზე პროექტში განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით. თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა 12 თვეა.

5. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება საბაზო ორგანიზაციას.

მუხლი 5. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება

1.პროექტის დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, ასევე არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებს:

ა) გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა საგრანტო დაფინანსება: აღნიშნული კატეგორია გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა საგრანტო დაფინანსებას;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება: აღნიშნული კატეგორია გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას;

გ) მივლინება: სამივლინებო ხარჯები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად;

დ) საქონელი და მომსახურება: „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით გათვალისწინებული ხარჯები. აღნიშნული მუხლი არ უნდა ითვალისწინებდეს მივლინების ხარჯებს.

ე) არაფინანასური აქტივები: აღნიშნული კატეგორია გულისხმობს, ძირითადი აქტივის შეძენის ხარჯს, რომელთა საექსპლოატაციო ვადა აღემატება ერთ წელს, მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება მომსახურების პროცესში და ერთეულის ღირებულება შეადგენს 500 ლარს და მეტს და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების გაწევას.

2. საგრანტო დაფინანსებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 6. კონკურსის ძირითადი ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში, CRDF Global და სსგფ-ში წარდგენა;

გ) შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) პროექტების განხილვა ადგილობრივ და CRDF Global-ის ექსპერტებისაგან შემდგარ კომისიებში (პანელი) და ოთხი პროექტის (ფინალისტის) შერჩევა;

ე) ადგილობრივი, აშშ-ს ექსპერტებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი დამკვირვებლისაგან შემდგარი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ კონკურსის ფინალში გასული ოთხი პროექტის წარმომდგენ საბაზო ორგანიზაციებში (საჭიროების შემთხვევაში ასევე თანამონაწილე ორგანიზაციებში) ვიზიტები, ადგილზე მდგომარეობის შეფასება და დამფინანსებელი მხარეებისთვის საუკეთესო პროექტების შესახებ რეკომენდაციის შემუშავება;

ვ) ერთობლივი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციისა და ადგილობრივი და CRDF Global-ის კომისიების დასკვნების გათვალისწინებით პროექტის დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის სამეცნიერო საბჭოს და DTRA -ს მიერ;

ზ) გამარჯვებული პროექტის წარმომდგენ საბაზო და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. ამ დანართის მე-8 მუხლით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად საპროექტო განაცხადი უნდა მომზადდეს როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე Microsoft Word ან PDF ფორმატში. დაარქივებული (zip ფორმატში) სახით წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც შეიცავს რამდენიმე დოკუმენტს, არ მიიღება.

2. საპროექტო განაცხადების შემცველი ელექტრონული ფაილები უნდა გაიგზავნოს CRDF Global-ში მისამართზე: Georgia@crdfglobal.org; ფონდში (international@rustaveli.org.ge)

და სსგფ-ში (niko@grdf.ge). ამასთან, CRDF Global-ში უნდა გაიგზავნოს საპროექტო განაცხადის მხოლოდ ინგლისური ვერსია. ფონდში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ გრანტის მიმღები ფიზიკური პირებისა და გრანტის მიმღები საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება (დანართი N5). ფაქსით ან პირადად წარდგენილ განაცხადები ფონდში, CRDF Global-სა და სსგფ-ში არ მიიღება.

3. ფონდში, CRDF Global-სა და სსგფ-ში დოკუმენტების ელექტრონული ფაილების წარდგენის შემდეგ აპლიკანტები ფონდიდან და CRDF Global-დან მიიღებენ ელექტრონულ წერილს, რომლითაც დადასტურდება ფაილის მიღება.

4. ფონდის, CRDF Global-სა და სსგფ-ს მიერ შემოწმდება ყოველი საპროექტო განაცხადის კონკურსის პირობებთან შესაბამისობა და განაცხადის ფორმების ზუსტი/სრულფასოვანი შევსება. ყველა აპლიკანტს ელექტრონული ფოსტით ეცნობება აღნიშნული შემოწმების შედეგი.

5. აპლიკანტებმა უნდა დაიცვან საპროექტო განაცხადის მომზადების შემდეგი ძირითადი წესები:

ა) საპროექტო განაცხადს უნდა ჰქონდეს დასრულებული სახე. საპროექტო განაცხადებს, რომლებსაც არ გააჩნია ყველა მოთხოვნილი ელემენტი, მოიხსნება კონკურსიდან;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც განაცხადის წარდგენის შემდეგ წარმოქმნილი გარემოებები აღარ აძლევს აპლიკანტს პროექტის განხორციელების საშუალებას მისი პირვანდელი სახით, აპლიკანტმა უნდა აცნობოს ფონდს, CRDF Global და სსგფ-ს წერილობით და მიმართოს თავისი საპროექტო განაცხადის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6. ფონდი, CRDF Global და სსგფ იტოვებენ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია. მათ შეუძლიათ, ერთმანეთთან შეთანხმებით, კონკურსის ან დაფინანსების ნებისმიერ ეტაპზე, მოხსნან ან დაფინანსება შეუწყვიტონ პროექტებს, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავენ ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 8. საპროექტო განაცხადის ფორმა

1. თითოეული საპროექტო განაცხადი უნდა შეიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ელემენტს (დეტალურად იხილეთ კონკურსის პირობებში www.grdf.ge). განიხილება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც შეიცავს სრულ ინფორმაციას. კერძოდ:

ა) „განაცხადის კრებსითი ნაწილი“ უნდა შეიცავდეს გრანტის მიმღები საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და სამი მენეჯერის (კვლევის, განათლებისა და თანამშრომლობის სფეროებში) ხელმოწერებს;

ბ) ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ უნდა შეიცავდეს პროექტში მონაწილე გრანტის მიმღები საბაზო და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ მონაცემებს;

გ) რეზიუმე - ერთ აბზაცში უნდა შეჯამდეს პროექტის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი; ყურადღება უნდა გამახვილდეს მის მიზნებზე, მოთხოვნილ და არსებულ აღჭურვილობაზე, მეთოდებზე, მოსალოდნელ შედეგებზე;

დ)აპლიკანტთა ბიოგრაფიული მონაცემები, მათ შორის:

დ.ა) ავტობიოგრაფია (CV) - **„განაცხადის კრებსითი ნაწილში“** მითითებული აპლიკანტების შესახებ მოკლე ინფორმაცია. სრული CV აუცილებელია პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, სამი მენეჯერისა და ადმინისტრატიული კოორდინატორისთვის. თითოეული აპლიკანტის მინიმუმ 3 შესაბამისი პუბლიკაცია, უპირატესად, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული. CV-ში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია აპლიკანტთა განათლების, სამუშაო გამოცდილების, მიღებული ჯილდოების, კვლევის ინტერესების და გრძელვადიანი პროფესიული მიზნების შესახებ. დანარჩენი აპლიკანტ(ებ)ის CV-ის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ გვერდს.

დ.ბ) ინფორმაცია თითოეული მონაწილის წინა და ამჟამინდელი ჩართულობის შესახებ ფონდის, CRDF Global-ის, სსგფ-ის და DTRA პროგრამებში.

ე) პროექტის ამოცანების აღწერა (3 გვერდამდე) - აღწერილი და განმარტებული უნდა იყოს პროექტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნები, ნაჩვენები უნდა იყოს პრობლემების მიმართ ინოვაციური მიდგომა;

ვ) სამეცნიერო საქმიანობის გეგმაში (3 გვერდამდე) გაწერილი უნდა იყოს არაუმეტეს ორწლიანი სამუშაოების პროგრამა. აღნიშნულ გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

ვ.ა) სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზები და ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის/პროექტების წვლილი ამ პროცესში;

ვ.ბ) ცენტრისსაქმიანობის განრიგი, და ამ საქმიანობისთვის საჭირო აპარატურის სია;

ვ.გ) ცენტრის დაარსების დასაბუთება და კვლევის განათლებასთან ინტეგრირების პროცესი;

ვ.დ) სამეცნიერო საქმიანობაში/პროექტებში სტუდენტების უწყვეტი და რეალური ჩართულობის მექანიზმი;

ვ.ე) პროექტის მოსალოდნელი წვლილი CBEP-ის მიზნებისა და საქართველოს მეცნიერების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში.

ზ) საგანათლებლო საქმიანობის გეგმაში (3 გვერდამდე) გადმოცემული უნდა იყოს ცენტრის საგანმანათლებლო საქმიანობის მახასიათებლებები, მეცნიერების და სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობები, ასევე, ნაჩვენები უნდაიყოს თუ როგორ მოხდება ცენტრის ინტეგრირება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობაში.

თ) თანამშრომლობის გეგმაში (2 გვერდამდე) მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი ცენტრის თანამშრომლობის გეგმა გრანტის მიმღები საბაზო ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, საქართველოს კვლევით ინსტიტუტებთან, კომპანიებთან, ადგილობრივ სამთავრობო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

განმარტებული უნდა იყოს თუ როგორ მოხდება არსებული კონტაქტების გაძლიერება ერთობლივი სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო პროგრამების, გაცვლითი ვიზიტების, კონფერენციების, სემინარების, კვლევითი კონტრაქტების (თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები) ხელმოწერისა და საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების მეშვეობით.

ი) ინტეგრიების აღწერა (1 გვერდამდე) უნდა ასახავდეს პროგრამის ფარგლებში სამი კომპონენტის (კვლევის, განათლებისა და თანამშრომლობის) კავშირს; როგორ არის ეს კომპონენტები დაკავშირებული ერთმანეთთან ფუნქციურად და კონცეპტუალურად. აღწერილი უნდა იყოს თანხების განაწილება და აღჭურვილობის შესყიდვების დასაბუთებულობა.

კ) ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა (2 გვერდამდე) უნდა წარმოადგენდეს ნიჭიერ სტუდენტთა, ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირთა და პერსპექტიულ მეცნიერთა შერჩევის და მათ კვლევით საქმიანობაში ჩართვის მექანიზმის აღწერას. დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნული ჯგუფის ცენტრის კვლევებში და საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.

ლ) მოსალოდნელი შედეგები (2 გვერდამდე) - რეალისტური ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენებით წარმოდგენილი უნდა იყოს საგრანტო დაფინანსების მოქმედების ორი წლის განმავლობაში მოსალოდნელი შედეგები (პუბლიკაციები, პარტნიორობა, ორგანიზებული კონფერენციები, სამეცნიერო მიღწევები და პატენტები). მითითებულ უნდა იქნას პროექტის ასპექტები, რომლებიც გამოყენებული იქნება მისი წარმატების შეფასებისათვის.

მ) აღჭურვილობის გამოყენების გეგმა (2 გვერდამდე) - უნდა შეიცავდეს 20 000 აშშ დოლარის ღირებულების ან უფრო ძვირი აპარატურის გამოყენების აღწერას საბაზო ორგანიზაციასა და მის გარეთ, ასევე უნდა შეიცავდეს მის შესაძლო მოსარგებელეთა სიას. ამასთან, უნდა არსებობდეს ცენტრისათვის მოთხოვნილი ძირითადი აპარატურის საქართველოს მასშტაბით საერთო/საზიარო გამოყენების გეგმა და ნაჩვენები უნდა იყოს საქართველოში ამჟამად ამგვარი აპარატურაზე წვდომის არ არსებობა.

2. **პროექტის ბიუჯეტი (ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება)** უნდა მოიცავდეს შემდეგ კატეგორიებს:

   ა) წინამდებარე ბრძანების დანართ N4-ში მოცემულ ხარჯვით კატეგორიებს;

   ბ) აღჭურვილობის ღირებულება (2 გვერდამდე) (თუ შესაძლებელია, სხვადასხვა შემოთავაზების აღნიშნვით), შერჩეული აღჭურვილობის უპირატესობა სხვა ანალოგებთან მიმართებაში, მათი მახასიათებლები (მწარმოებლები, მოდელები, ეფექტურობა, გამყიდველების არსებობა და სხვ.);

3. **ბიუჯეტის აღწერითი ნაწილი** (3 გვერდამდე) მოცემული უნდა იყოს ცალკე ფურცელზე და უნდა განმარტავდეს ბიუჯეტის ყველა პუნქტს შევსებული ბიუჯეტის ფორმის შესაბამისად. ფურცელი უნდა იყოს დასათაურებული: "ბიუჯეტის აღწერა", რომელშიც, ამ ბრძანების დანართ N4-ში მითითებულ ხარჯვითი კატეგორიების განმარტებასთან ერთად, მითითებულ უნდა იყოს განფასებაც (სადაც შესაძლებელია) .

4. თუ ბიუჯეტში ნაჩვენებია ნებისმიერი დამატებითი ფინანსური ან არაფინანსური მხარდაჭერა, სააპლიკაციო ფორმაში მოყვანილი უნდა იყოს მისი დამამტკიცებელი საბუთი.

5. **გამოყენებული წყაროების ჩამონათვალში,** გამოყენებული წყარო მოყვანილი უნდა იყოს განაცხადის ტექსტში მისი მოხსნების შესაბამისი რიგითობით.

მუხლი 9. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

1. წინამდებარე სამეცნიერო-საგრანტო კონკურსი საპროექტო განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 17 თებერვლის 17:00 საათი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ვადის დარღვევით შემოსული საპროექტო განაცხადები ფონდში აღარ მიიღება.

მუხლი 10. პროექტების შეფასება

1. ფონდის, CRDF Global-ისა და სსგფ-ს მიერ ხდება შემოსული პროექტის კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2. ექსპერტების მიერ პროექტისშეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

ა) სამეცნიერო ღირებულება;

ბ) კვლევისა და განათლების ინტეგრაცია;

გ) ინოვაცია;

დ) შესაძლებლობები;

ე) შესაბამისობა საქართველოსა და CBEP-ის მიზნებთან;

ვ) ხარჯები და დროის განრიგი;

ზ) ორმაგი დანიშნულების კვლევის შესაძლებლობა;

თ) დამატებითი პრიორიტეტები დაფინანსებისთვის.

3. პროექტისგანხილვა მოხდება ქართველი და აშშ-ს (ადგილობრივ და CRDF Global-ის) დამოუკიდებელ ექსპერტებისგან შემდგარ კომისიაზე (პანელი) რომელიც შეარჩევს ოთხ ფინალისტ პროექტს;

4. ადგილობრივი, აშშ-ს ექსპერტებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი დამკვირვებლისაგან შემდგარი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ კონკურსის ფინალში გასული ოთხი პროექტისწარმომდგენ საბაზო ორგანიზაციებში (საჭიროების შემთხვევაში ასევე თანამონაწილე ორგანიზაციებში) განხორციელდება ვიზიტები, ადგილზე მდგომარეობის შეფასებისა და დამფინანსებელი მხარეებისთვის საუკეთესო პროექტების შესახებ რეკომენდაციის გაწევის მიზნით;

5. ერთობლივი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციისა და ადგილობრივი და CRDF Global-ის კომისიის დასკვნების გათვალისწინებით მოხდება პროექტის დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის სამეცნიერო საბჭოს და DTRA -ს მიერ;

ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

მუხლი 11. ინტერესთა კონფლიქტი (ფონდის მოთხოვნები)

1. დაუშვებელია ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. დაუშვებელია კონკურსში ფონდის თანამშრომლის მონაწილეობა.

3. დაუშვებელია კონკურსში სამეცნიერო საბჭოს წევრის მონაწილეობა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, გრანტის მიმღები ფიზიკური პირის ან დამხმარე პერსონალის სტატუსით.

4. არ შეიძლება პროექტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს სამეცნიერო საბჭოს ის წევრი ან იყოს ადგილობრივი ექსპერტი პირი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო–კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის

ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

5. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

6. სამეცნიერო საბჭოს წევრი და ადგილობრივი ექსპერტი ვალდებულია სამეცნიერო საბჭოს/ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

7. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ადგილობრივი ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 12. საგრანტო ხელშეკრულება და პროექტის მონიტორინგი ფონდის მიერ

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გრანტის მიმღებ საბაზო ორგანიზაციასთან, გრანტის მიმღებ თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გრანტის მიმღები საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაცია ფონდს წარუდგენს წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ არა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

3. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღები საბაზო ორგანიზაციისა და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ბიუჯეტში განახორციელოს ცვლილება.

4.საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

5.ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.

6. პროგრამული მონიტორინგი ხორციელდება გრანტის მიმღებთა მიერ მოწოდებულ წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.

7. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად თუ პროექტის ფარგლებში ფონდის მიერ ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია

ანგარიშები, დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

დანართი 2
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 12 თებერვლის №16 ბრძანებით

განაცხადის კრებსითი ნაწილი

I.ცენტრის სახელწოდება

_____

ა. საბაზო ორგანიზაცია

_____

ბ. წარმოდგენილი საქმიანობის სამეცნიერო მიმართულება(ები)

_____

II.

ა. გვარი ---------- სახელი ---------- მამის სახელი ----------
ბ. სქესი მ ---------- დ ----------

გ. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი) ----------

დ. მინიჭებული სამეც. უმაღლესი ხარისხი----------

სფერო ---------- წელი ----------

ე. ტელეფონი _____ ფაქსი _____

ელ-ფოსტა_____

გაქვთ თუ არა გამოცდილება იარაღთან დაკავშირებულ კვლევაში?

დიახ _____ არა _____

სრული საფოსტო მისამართი

_____

_____

ხელისმოწერა

თარიღი

III. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

ა. გვარი ---------- სახელი ---------- მამის სახელი ----------
ბ. სქესი მ___ დ___

გ. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი) _____

დ. მინიჭებული სამეც. უმაღლესი ხარისხი ----------

სფერო_____ _ წელი _____

ე. ტელეფონი _____ ფაქსი _____

ელ-ფოსტა_____

ვ. თანამდებობა ----------

გაქვთ თუ არა გამოცდილება იარაღთან დაკავშირებულ კვლევაში?

დიახ _____ არა _____

სრული საფოსტო მისამართი

ხელისმოწერა* ----------

თარიღი ----------

IV. პროგრამის მენეჯერი კვლევის დარგში

ა. გვარი ---------- სახელი ---------- მამის სახელი ----------
ბ. სქესი მ___ დ___

გ. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი) ----------

დ. მინიჭებული სამეც. უმაღლესი ხარისხი ----------

სფერო_____ _ წელი _____

ე. ტელეფონი _____ ფაქსი _____

ელ-ფოსტა_____

ვ. თანამდებობა ----------

გაქვთ თუ არა გამოცდილება იარაღთან დაკავშირებულ კვლევაში?

დიახ _____ არა _____

სრული საფოსტო მისამართი

ხელისმოწერა* ----------

თარიღი ----------

V. პროგრამის მენეჯერი განათლების დარგში

ა. გვარი ---------- სახელი ---------- მამის სახელი ----------
ბ. სქესი მ___ დ___

გ. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი) _____

დ. მინიჭებული სამეც. უმაღლესი ხარისხი ----------

სფერო_____ _ წელი _____

ე. ტელეფონი _____ ფაქსი _____

ელ-ფოსტა_____

ვ. თანამდებობა ----------

გაქვთ თუ არა გამოცდილება იარაღთან დაკავშირებულ კვლევაში?

დიახ _____ არა _____

სრული საფოსტო მისამართი

ხელისმოწერა* ----------

თარიღი ----------

VI. პროგრამის მენეჯერი კოლაბორაციის დარგში

ა. გვარი ---------- სახელი ---------- მამის სახელი ----------
ბ. სქესი მ___ დ___

გ. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი) _____

დ. მინიჭებული სამეც. უმაღლესი ხარისხი_____

სფერო_____ _ წელი _____

ე. ტელეფონი _____ ფაქსი _____

ელ-ფოსტა_____

ვ. თანამდებობა ----------

გაქვთ თუ არა გამოცდილება იარაღთან დაკავშირებულ კვლევაში?

დიახ _____ არა _____

სრული საფოსტო მისამართი

_____

ხელისმოწერა* ----------

თარიღი _____

VII. ადმინისტრაციული კოორდინატორი

ა. გვარი ---------- სახელი ---------- მამის სახელი ----------

ბ. სქესი მ___ დ___

გ. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი) _____

დ. მინიჭებული სამეც. უმაღლესი ხარისხი ----------

სფერო_____ _ წელი _____

ე. ტელეფონი _____ ფაქსი _____

ელ-ფოსტა_____

ვ. თანამდებობა ----------

გაქვთ თუ არა გამოცდილება იარაღთან დაკავშირებულ კვლევაში?

დიახ _____ არა _____

სრული საფოსტო მისამართი

ხელისმოწერა* ----------

თარიღი ----------

VIII. აპლიკანტები (თუ საჭიროა, გააკეთეთ ასლი)

ა. გვარი ---------- სახელი ---------- მამის სახელი ----------

ბ. სქესი მ___ დ___

გ. დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი) _____

დ. მინიჭებული სამეც. უმაღლესი ხარისხი ----------

სფერო_____ _ წელი _____

ე. ტელეფონი _____ ფაქსი _____

ელ-ფოსტა_____

ვ. თანამდებობა ----------

გაქვთ თუ არა გამოცდილება იარაღთან დაკავშირებულ კვლევაში?

დიახ _____ არა _____

სრული საფოსტო მისამართი _____

ხელისმოწერა* ----------

თარიღი ----------

დანართი 3
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 12 თებერვლის №16 ბრძანებით

ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია

		საბაზო ორგანიზაცია	ცენტრში
1	პროფესორ-მასწავლებელთა სრული რაოდენობა		
2	დოქტორის ხარისხიანი პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა	_____	_____
3	საკონკურსო თემატიკის სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტების რაოდენობა	_____	_____
4	35 წლამდე პროფესორ-მასწავლებელთა სრული რაოდენობა		
5	სტუდენტების/დამამთავრებელი კურსის სტუდენტების/ სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა	__/__/__	__/__/__
6	საკონკურსო თემატიკის სფეროში სტუდენტების//დამამთავრებელი კურსის სტუდენტების/ სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა	__/__/____	__/__/____
7	საბაზო ორგანიზაციის ძირითადი დაფინანსება (სახელმწიფო ბიუჯეტი/სხვა წყაროები)	_____/_____	_____/_____
8	საკონკურსო თემატიკის სფეროში ჩართული სპეციალისტების მიერ საქართველოს ფარგლებში მიღებული გრანტების რაოდენობა (ბოლო 3 წლის მანძილზე)		
9.	საკონკურსო თემატიკის სფეროში ჩართული სპეციალისტების მიერ უცხოური		

	ფონდებიდან/ორგანიზაციებიდან (მაგ. CRDF Global, DTRA, ა.შ.) მიღებული გრანტების რაოდენობა (ბოლო 3 წლის მანძილზე)		
10	საკონკურსო თემატიკის სფეროში ჩართული სპეციალისტების ბოლო 3 წლის პუბლიკაციები (ჩამოთვალეთ ცალკე ფურცელზე) ■ სტატიები საერთაშორისო ჟურნალებში ■ მონოგრაფიები ■ სახელმძღვანელოები	_____ _____	_____ _ _____ _ _____ _
11	წიგნების რაოდენობა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში	_____	_____
12	სხვა ორგანიზაციები რეგიონში, რომელთაც აქვთ პროექტში წარმოდგენილი მსგავსი კვლევითი პროგრამები: ჩამოთვალეთ ორგანიზაციები და კვლევის თემები (დაურთეთ ცალკე გვერდი)		
13	საკონკურსო თემატიკის სფეროში ჩართული სპეციალისტების მონაწილეობა კონფერენციებში, სემინარებსა და სკოლებში (საერთაშორისო/ეროვნული) ბოლო 3 წლის მანძილზე	__/__/	__/__/

დანართი №4
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 12 თებერვლის №16 ბრძანებით

პროექტის ბიუჯეტი: (ივსება მხოლოდ ფონდიდან მოთხოვნილ დაფინანსებაზე)

ხარჯის კატეგორია		I საანგარიშო პერიოდი	II საანგარიშო პერიოდი	სულ საანგარიშო პერიოდი
1	გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა საგრანტო დაფინანსება	-	-	-
	[გრანტის მიმღების სახელი და გვარი]			
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება			-
3	მივლინება			-
4	საქონელი და მომსახურება:	-	-	-
4.1	[მიუთითეთ ხარჯვის ქვეკატეგორია ერთეულის ფასისა და რაოდენობის აღნიშვნის გარეშე]			
4.2	[მიუთითეთ ხარჯვის ქვეკატეგორია ერთეულის ფასისა და რაოდენობის აღნიშვნის გარეშე]			
5	არაფინანსური აქტივები	-	-	-
5.1	[მიუთითეთ არაფინანსური აქტივის ქვეკატეგორია ერთეულის ფასისა და რაოდენობის აღნიშვნის გარეშე]			
5.2	[მიუთითეთ არაფინანსური აქტივის ქვეკატეგორია ერთეულის ფასისა და რაოდენობის აღნიშვნის გარეშე]			
	სულ:	-	-	-

დანართი №5
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 12 თებერვლის №16 ბრძანებით

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა"

2014 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტისა და საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემო ხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით "აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 ნოემბრის №181/ნ ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების თაობაზე და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პროექტი აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-საგრანტო კონკურსის „პათოგენების კვლევისა და სწავლების ხელშემწყობი ცენტრის შექმნა" ერთობლივი გრანტის მისაღებად.

1. პროექტის სახელწოდება:

2. პროექტის საერთო ბიუჯეტი (დოლარი): ----------

მათ შორის: ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ----------

CRDF - Global-იდან მოთხოვნილი თანხა ----------

თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ----------

3. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):

4. პროექტის წარმდგენი საბაზო ორგანიზაცია:

საბაზო ორგანიზაცია	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი:

	აპლიკანტი (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.			